მე-3 კლასი

ძირითადი დავალებები *(50 ქულა)*

1. ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულების მნიშვნელობა განსხვავდება დანარჩენი ორისგან? *(4 ქულა)*
   A) 42-11 B) 17+14 C) 19+13
2. ნიკუშამ ერთ ფანქარში 25 თეთრი გადაიხადა. რა თანხას გადაიხდიდა ის სამ ასეთ ფანქარში? *(4 ქულა)*
   A) 1 ლარს B) 95 თეთრს C) 75 თეთრს
3. თაროზე რომელზეც 21 წიგნი ეტევა 9 წიგნი დევს, კიდევ რამდენი წიგნის დადება შეგვიძლია თაროზე? *(4 ქულა)*
   A) 21 B) 12 C) 30
4. ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი? *(5 ქულა)*
   A) 7+8+9 = 6+10+11 B) 5+5+5 = 4+4+4+3 C) 9+12+11 = 11+12+8
5. რამდენი სამკუთხედია გამოსახული სურათზე: *(5 ქულა)*

   A) 5 B) 3 C) 2
6. დააკვირდით სურათს და იპოვეთ გამოტოვებული რიცხვი: *(5 ქულა)*



   A) 4 B) 9 C) 7
7. რომელი უფრო მძიმეა: 50 კილოგრამი რკინა, თუ 50 კილოგრამი ბუმბული? *(5 ქულა)*
   A) რკინა B) ბუმბული C) თანაბარი სიმძიმისაა
8. რამდენი გვერდი აქვს ყველა ფიგურას ერთად? *(6 ქულა)*

   A) 25 B) 24 C) 29
9. გიორგი რიგში მარჯვნიდან მეორეა. გიორგის მარცხნივ ორჯერ მეტი მოსწავლეა, ვიდრე გიორგის მარჯვნივ. სულ რამდენი მოსწავლეა მწკრივში გიორგის ჩათვლით? *(6 ქულა)*
   A) 4 B) 6 C) 10
10. რამდენი განსხვავებული ასო-ბგერისგან შედგება წინადადება: „მე მიყვარს კინგსი“? *(6 ქულა)*
    A) 10 B) 11 C) 5

ბონუს დავალებები *(8 ქულა)* - კითხვები ფინანსური განათლებიდან

ტესტის მაქსიმალური ქულაა 50. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

1. თორნიკეს უნდა ახალი პენლის ყიდვა, რომელიც 10 ლარი ღირს. თუ თორნიკე დღეში 2 ლარს დაზოგავს, რამდენ დღეში შეაგროვებს პენლისთვის საჭირო ფულს? *(4 ქულა)*
   A) 3 დღეში B) 5 დღეში C) 10 დღეში
2. ნიკას 3 ლარი აქვს და ახალი რვეულის შეძენა სურს. სახლთან ახლოს ორი საკანცელარიო მაღაზიაა. რვეული ორივე მაღაზიაში 2 ლარი ღირს. პირველ მაღაზიაში შეძენილ რვეულს საჩუქრად კალამი მოჰყვება, ხოლო მეორეში ასეთი საჩუქარი არ არის. რომელ საკანცელარიო მაღაზიაშია რვეულის შეძენა უფრო გონივრული? *(4 ქულა)*
   A) პირველში B)მეორეში C) არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ მაღაზიაში იყიდის ნიკა რვეულს